თითოეული ნომერი ჟურნალისა უფასოდ 10 კ.

№ 22.—1914 ფასი 10 კ. ქვირა, 3 აგვისტო.

მეუღლე-მსახიობნი ვასო აბაშიძე და მარიამ საფ.-აბაშიძისა
(გადაღებულია 35 წლის წინად—1879 წ.)

№ 22

შინაარსი:

1) რა გვევალება დღეს? მეთაური — 1

2) რას უქადის ხელოვნებას მომავალი
ად. წერეთლისა „

3) სამშობლოს სურათი, ალია ბახტაძისა — 2

4) კონსტანტინე მაყაშვილი, ვახტანგ
კოტეტიშვილისა 3

5) გახსოვდეს სიკვდილი, მიხ. ბოჭო-
რიშვილისა 4

6) ჯამი, შალვა დადიანისა 5

7) ქართველ მწერალთა წერილები,
ს. მგალობლიშვილისა 7

8) შუქურ ვარსკვლავი, მთის ნიავისა — 10

9) დედინაცვალი, ტრ. რამიშვილისა — 12

10) მუსიკა, ა—კოსი 15

11) წვრილი ამბები; ომიანობა 16

12) სურათები განცხადებანი

თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მას გაზრახული აქვს თეატრთან მოაწყოს სპეციალისტების ხელმძღვანელობით

სამეცადინო პრაქტიკული საღამო

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვსთ, ჩაწერონენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე.

სწავლა უფასო იქნება.

პირობების გაგება შეიძლება ამისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქმნეს: დრ. წერილობითი განცხადება

საბ. კანტორაში,

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი** — 1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**— 1 მან. და მესამე— 1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებშ.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**



№ 22

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. სახ. კანტორაში და „სორაპან“-ს სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საპიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დღით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 22 ქვირა 3 აგვისტო 1914 წ.

3 აგვისტო

რა გვევალება დღეს? როდესაც ჩამობნელდება, ირგვლივ წყვდიადი გაეფდება, მაშინ გვჭირია სინათლის მომფენი ლამპარი და ადამიანთა სინდისის მამხილებელი ძახილი სილამაზისა, სიყვარულისა და მშვენიერებისაკენ...

ამიტომ მოვუწოდებთ ხელოვნების ყველა ტეშმარიტ ქურუმთ მხნედ და თავ-გამოდებით იმოქმედონ... განსაკუთრებით ჩვენის თეატრის მესვეურთ ჰმართებთ სწორედ ახლა გამოიჩინონ სიფხიზლე, შორსგამჭვრეტელობა და ჩვენის საზოგადოების წინსვლას ხელი შეუწყონ, შერჩეულ პიესების წარმოდგენით.

როგორც ისმის, ქუთაისის დრამ. საზ. გამგეობა უკვე ემზადება მომავალი სეზონი ღირსეული იქონიოს, თბილისის დრამ. საზოგ. გამგეობაც ფაციფუცშია, ხოლო სხვა დრამ. საზოგადოებათა შესახებ კი ჯერ ან არა ისმის რა, ან იძახიან—დღეს თეატრისთვის ვიღას სცალიანო? თუ ეს მართალია, შემცდარი იქნება ვინც ასე იფიქრებს: სწორედ ასეთს დროს უნდა იმოქმედოს თეატრმა, როგორც ცხოვრების სარკემ, ადამიანთ გულ-გონების გამოფხიზლებისა და საზოგადოების საკრებულომ, ხოლო თუ გვსურს რიგიანი სეზონი გვქონდეს, ამ თავითვე მომზადებაა საჭირო და არა გულხელ-დაკრეფა: მართლა და წელსაც ხომ ძველებურად „როგორც უნდა იყოს“-ის მიხედვით ვერ ვიმოქმედებთ?!

რას უქადის ხელოვნებას მომავალი

„ჰაერისა და სინათლესავით აუცილებელია... კაცობრიობისათვის ხელოვნება“.

ი. რეპინი.

უკანასკნელ დროს მრეწველობისა და მეცნიერების განვითარებას ხშირად ხელოვნების გადაგვარებასა და საერთოდ მოსპობას უკავშირებენ; ამბობენ მრეწველობისა და მეცნიერების განვითარება სათავეში ჩაჰკლავს მხატვრულ შემოქმედებასო (მაგ. რენანი), ან შეიცვალა ის პირობები, რომელთშიაც ვითარდებოდა ესა თუ ის ხელოვნება (მაგ. ქანდაკება, მუსიკა) და მაშასადამე იგი თავისთავად მოისპობაო (ტენი). ცნობილი ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი მეცნიერებას ნაცარქექია სანდრილიონას ადარებს, დედინაცვალს მუდამ ათვალისწუნებული და დაჩაგრული რომ ჰყავდა. იგი დიდხანს იყო ყველასაგან შეუმჩნეველი და მივიწყებული, როდესაც დები მისი ძალზე ამაყობდენ თვისი ბრჭყვიალა სილამაზითო; ახლა კი სანდრილიონას რიგიანო; დადგება დრო, როდესაც მეცნიერება უძვირფასესი და უმშვენიერესი იქნება და ძლიერის მბრძანებლის სახით გამეფდებაო, ხოლო დები მისი, ხელოვნება და სარწმუნოება გაწბილებულ იქნებიანო.

საერთოდ დღეს ბევრი ძლიერი პესსიმისტური განწყობილებით უცქერის ხელოვნების მომავალს. ამისათვის ვგონებ, ინტერეს მოკლებული არ უნდა იქნეს განხილვა იმ მოსაზრებათა, რომელნიც ვითომც და ნათლად ამტკიცებენ იმ აზრის სინამდვილეს, რომ ხელოვნება გადაგვარების გზას ადგია და მალე სრულიად მოისპობაო.

საფრანგეთის უდროოდ მიცვალებულ ცნობილ მწერალს მ. გიუიოს შეკრეფილი აქვს ყველა ეს მოსაზრებანი ერთ თვის შრომაში.*) აქ პირველად ყოვლისა აღნიშნულია ეგრედწოდებული ფიზიოლოგიური თვისების მოსაზრებანი: მხატვრისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ როგორც მის გარეშემო, ისე თვით მასში იყოს ცნობილი კულტი მშვენიერებისა; საბერძნეთში, მშვენიერ სიშიშვლეს აღმერთებდენ, მაგალითად სოფოკლე სალამინის ბრძოლის შემდეგ, ვიდრე ღმერთებს სამადლობელ ჰანგებს უგალობდა, პირველად ყოვლისა გაშიშვლდა საკურთხევლის წინაშე. ასეთივე ძლიერი იყო სიშიშვლის კულტი აღორძინების ხანაში, ხოლო ჩვენს დროს ძალა და სხეული აღარ შეადგენენ იდეალს; სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ადამიანის სიმაღლე მოკლდება, ხოლო ავადმყოფობა და სიმახინჯე იზრდება და ვითარდება; დღეს გამეფებულ პირობების გამო ნერვების სისტემა თანდათან ვითარდება, ხოლო სხეული თანდათან სუსტდება და, თუ შესაძლებელია, ეგებ ადამიანი ოდესმე მხოლოდ ტვინისა და ნერვებისაგან იქნეს შემდგარი, როგორც ამას ოცნებობდა დიდრო თვის »დალამბერის სიზმარში«. ასე მსჯელობენ ისინი, ვისაც ხსენებულ ფიზიოლოგიური ხასიათის საბუთებით ჰსურსთ დაამტკიცონ მომავალში ხელოვნების მოსპობის აუცილებლობა, ხოლო დღეს კი მისი გადაგვარებისაკენ დაქანება. მათ საწინააღმდეგოდ შეგვიძლია შემდეგი ვსთქვათ: ჰიგიენისა და გიმნასტიკის საშუალებით ადამიანის სხეული სრულიადაც არ დაადგება სიმახინჯის გზას და რომ კიდეც დაადგეს, ჩვენს დროში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ადამიანის სახე, სადაც გამონასკვულია ჩვენი საუკუნის მწარე ფიქრი და აზრი, სახე, რომელიც ნერვების სისტემისა და გონებრივ-ზნეობრივი განვითარებასთან ერთად მეტად მიმზიდველი იქნება ჟეშმარიტ ხელოვანისათვის; მომავალ ადამიანის სახეზე განსაკუთრებით აღიბეჭდება გონების ძლევამოსილება, ხოლო მის თვალებში ის »დაუსრულებელი აზრები«, ჩვენ დროს რომ თან სოსდევს. ძველად იცნობდნენ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ხელოვნების სტატიკას, პლასტიკურ სიმშვენიერეს, ხოლო თანამედროვე ხელოვნება განსაკუთრებით დინამიკურია, რადგანაც მას უდიდესად აინტერესებს მოძრაობა და ნათელი გამოხატულება აზრისა ადამიანის სულის სამეფოში; თვით ბუნებას და მის მოვლენებს ჩვენი დროის ხელოვნება მოძრაობის სახით გვისურათებს. და ამაშია ახალი ძალა ხელოვნებისა, რომელიც მის შეუწყვეტელ განვითარებაზე მიგვითითებს. და რომ კიდეც სავსებით მოისპოს მშვენიერი სხეულის კულტი, ეს სრულიადაც არ გამოიწვევს ხელოვნების მოსპობას, რადგან მხატვრული შემოქმედების საგნის ცვლილება კიდევ არ ნიშნავს ამ შემოქმედების მოსპობას: მრავალფეროვანია ცხოვრება და მრავალია მასში მხატვრულად აღსანიშნავი მოვლინება.

ხოლო არიან ეგრედწოდებული ისტორიული მოსაზრებანიც. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ალ. წერეთელი

*) იხ. „Задачи современной эстетики“, რომლითაც ჩვენ განსაკუთრებით ვისარგებლეთ.

სამშობლოს სურათი

ვიშ რა კარგია! არე-მარე ბინდსა მოუცავს. მთვარის სხივები აქ ველს დასცქერს, იქ მთას დაქოჩრილს ლაღად, ტურფად ეალერსება, ცელქობს, თამაშობს, დახედეთ როგორ იბნევა ოქროს სხივი ცელქ მდინარეში?!

რა საამოა!—წყალვარდნილი ხტის, კისკისებს, ნაჩქეფებს ისვრის, საამურად ქოჩორს გისველებს!.. აქ წყარო მოხტის, მორაკრაკებს გრილი, საამო და სიცხისაგან განაწამებს ყელსა გისველებს.

— სუ!!! ნიავი ჰქრის - ბალახს არხევს, ვარდს ტუჩს უკოცნის, ტყეს აშრიალებს.

—ეს რა ხმა არის?! შაშვი ჭახჭახებს, აქ-კი ბულბული საამურად სტკვენს და რაკრაკებს.

—ვიშ რა კარგია ჩვენი სამშობლო: აქ არის ნიჭი სრულყოფილი—თავისუფალი.

ილია ბახტაძე

კონსტანტინე მაყაშვილი

„ლირიკა“, გამოცემა გაზ. „თემი“-სა. 1914 წ. ფ. 50 კ.

ჩვენი ცხოვრების სასიამოვნო მოვლენად, სხვათა შორის, ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, ნელნელა წიგნების გამომცემლობა ფეხს იკიდებს, და აქამდის უარაროდ დარჩენილ მკითხველს მცირე რამ საზრდო ეძლევა, თუმცა მცირე კი არა, ძალიან მცირეა იგი საზრდო, მაგრამ სულ არაერობას, ეს სჯობია. აქამდის, და ახლაც, გაისმის განუწყვეტელი გოდება, და სამართლიანიც, რომ მკითხველ საზოგადოებას არა აქვს საზრდო, არა აქვს შეძლება, რომ მთლიანი წარმოდგენა იქონიოს ამა თუ იმ მწერალზე, რადგან ჩვენთა მწერალთა ნაწერები უმეტეს ჟურნალ-გაზეთებშია გაფანტული, და ფართე საზოგადოებისთვის ისინი არ არსებობენ. გაზეთს კი დღიური მნიშვნელობა აქვს, რომელიც მხოლოდ დღეს სტოვებს შთაბეჭდილებას, ხვალ, ზეგ კი დავიწყების ყომრალი ფერი ედება, და მკითხველიც მოკლებულია შეძლებას, რომ მწერლის ნაწერებ შორის მთლიანი ძაფი გაიბას.

ჩვენი მწერლობა არც ისე ღარიბია, როგორც ეს გვეჩვენება. განა არ უნდა იყოს გამოცემულნი ვ. ბარნოვის ნაწერები? ან ი. ელეფთერიძე-ზურაბიშვილისა, ან ნარკანისა და სხ. მრავალთა, მაგრამ ... და აი დღეს თითქო გასჭრა საზოგადოების მუდრამ, და ჩვენმა მწერლებმა, ზოგმა თავისი ხარჯით, ზოგმა სხვის დახმარებით, გამოსცეს თავიანთი ნაწერები. ამ უკანასკნელ წელიწადში გამოიცა ნაწერები გრიშაშვილისა, ქუჩიშვილისა, ი. ეკალაძისა, გ. ტაბიძისა და სხ ამ მოკლე ხანში მზადდება გამოსაცემად ე. ნინოშვილისა, ჯ. ჯორჯიკასი, ბ ახოსპირელისა, ნ. ჩხიკვაძესი და სხ. ამ გამოცემებს ამ დღეებში მოემატა კარგი წიგნი კ. მაყაშვილის — „ლირიკა“.

ეს წიგნი პირადად ჩემზედ მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, უმთავრესად, თავისი სიცოცხლიანობით. ამ წიგნში მოსჩანს ენერგია და სიცოცხლე ავტორისა. იგი მღერის და ამ სიმღერაში აქარვებს სიმძაფრეს ცხოვრები'ას, რომელსაც ასე მძლედ განიცდის ჩვენი ავტორი. ეგი ამ წიგნში გვიშლის თავის ნაგრძნობს და გვიჩვენებს იმ საღ გულს, რომელიც ჰქმნის ამ მშვენიერ სტრიქონებს. „ელვა სიცოცხლის“, „სიცოცხლის სიმღერა“, „გმირთა ძახილი“, „ცოცხლების ძიება“, „საღი გული“, — აი მისი ლექსიკონის მთავარი სიტყვები, რომელნიც ხალისიანობის ბეჭედს ასვამენ მის ლექსებს. კითხულობთ თქვენ, და თითქმის ყოველი მისი სტრიქონი სიცოცლლის ხალისიან ემოციებს იწვევს, ან და მართლა საღად ჩაგაფიქრებთ. ყველგან საღი სულია გატარებული. ეს დიდი ღირსებაა საზოგადოდ, და მისი ლექსებისა კი კერძოდ. დღევანდელ დღეს ჩვენ ამ გვარი წიგნი გვესაჭიროება, რომ გაჰფანტოს ის ობი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას მოჰკიდებია. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მას უფერული მანტია აქვს წამოსხმული: იგი დაავადმყოფებულია, სევდიანი, უიმედო. ეს მომენტი კი ჩვენმა მწერლებმა ცხოვრებიდან თავიანთ სამეფოში გადმოიტანეს, გაამეფეს, და ისედაც ფერ-დაკარგულ ჩვენს ცხოვრებას, ყომრალი მანტია ამათიც წამოასხეს. ამან კი ხალისი დაგვიკარგა, ისე რომ, ჩვენ ძლიერ იშვიათად-ღა მოგვისმენია „საღი სიტყვა“, „სიცოცხლის სიმღერა«; ჩვენში იშვიათად ამეტყველებულა საღი გული. და აქ სწორედ მაყაშვილისებრ საღი სიტყვა იყო საჭირო. კითხულობთ მის ლექსს, და აღმაფრენას ეძლევით, სასიცოცხლო ძალა გემატებათ, ხალისი გიორკეცდებათ. უკვირდებით მის ლექსს, და მხოლოდ ერთ რამეს ამოიკითხავთ სტრიქონებ შუ, სახელდობრ: „ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც გგონიათო«, და ასე გვაწვდის საღ სიტყვას.

უმთავრესი ძარღვი, უმთავრესი საგანი მისი პოეზიისა — სამშობლოა. ამ სამშობლოს „დანგრეულს“, „შეგინებულს“ და „დაბნელებულს“ უტრიალებს იგი და უკინძავს ლექსებს. იგი დიდი ყურადღებით აკვირდება ყოველგვარ მოვლენას, და შესაფერად მღერის. იგი ხედავს სამშობლოს დაცემულს, შეგინებულს, უარყოფილს, და ეძებს მიზეზებს, და აქ იგი, სხვათა შორის, შინაურ მტრებსაც აღმოაჩენს. იმ მტერს, რომელიც აქ „ბურჯათ“ და „გმირათა“ სთვლის თავს. შემდეგ უკვირდება ჩვენს ცხოვრებას დაჩიავებულს, დახურდავებულს, და მწარე სატირას მიართავს. და სწორედ აქ იგი შეუდარებელია. აბა გაიხსენეთ მისი სატირა „ეშმაკი საქართველოში“: რამდენი მწარე ფიქრების აღმძვრელია იგი, რამდენად დამაფიქრებელი. აქ, სატირაში, კ. მაყაშვილი ღირსეული მოწაფეა ი. ჭავჭავაძისა. იგი ხედავს ბოროტებას, და გესლიანი ოხუნჯობით ლამობს მის აღმოფხვრა-მოსპობას. იგი სულაც არ ინდობს იმ მავნე ელემენტებს, რომელნიც ამღვრევენ ჩვენს ცხოვრებას, და აქ იგი სასტიკია. და სწორედ ამ მიზნით შეჰქმნა მან მთელი ის კოლექცია მახინჯ-მასხარებისა, რომელნიც მიდიან ჩვენ წინ, და ზიზღ-ნარევ სიცილს იწვევს ჩვენში. და ჩვენც აღშფოთებულნი ვეკითხებით ჩვენს თავს — „ნუ თუ“? — და სინამდვილე კი ადასტურებს ამ საეჭვო კითხვას. მწერალი ამ სატირაში ხან-და-ხან იქამდისაც მიდის, რომ ფარსსა და კარიკატურას გვაწვდის, და ხან პასქვილითაც გვიმასპინძლდება: ეს კი არ აღვევს სატირის მთლიანობას, არამედ უფრო აზავებს და აძლიერებს შთაბეჭდილებას. დიაღ! ძალიან საგულისხმოა კ. მაყაშვილის სატირა, რომელშიაც, ვიმეორებ, ოხუნჯობითა და გესლიანი სიცილით გამოსთქვამს ტკივილს ჩვენი ცხოვრების და თავის გულისას, ეს მართლა „ივერთ სიცეტის მკაცრი მზრახველი“. მაგრამ მხოლოდ ამით არ განისაზღვრება მისი შემოქმედება. მას არც სხვა მხარეები დაუტოვებია, და ყოველივე, რასაც კი უმოქმედნია მგოსანზე, სიტყვით გამოუთქვამს. აქ პატივცემულ მწერლისთვის არ არსებობს არც საზღვრები, არც რაიმე ჩარჩოები. იგი შეუზღუდავი, თავისუფალი ლირიკოსია, მრავალ-მხრივ შემომქმედი.

ამ მოკლე ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში, რასაკვირველია, არ შეიძლება ვრცლად აღინუსხოს მისი შემოქმედების ყველა მხარე. ამაზე ამ მოკლე ხანში გამოვესაუბრები პატივცემულ საზოგადოებას. აქ კი იმის თქმა ღა დამრჩენია, რომ მკითხველ საზოგადოებას მიუთითო ამ ავტორზე, და ურჩიო, გაეცნოს მის შემოქმედებას საზოგადოდ, მის „ლირიკას“ კერძოდ, რომელშიაც ჩაქსოვილია წრფელი გრძნობა და მზიური ხალისი, და რომლის ლირიკის აკვანში ირწევა ჩვენი გრძნობა, ტკბილი მუსიკა მისი ლექსისა ლამაზ სიმფონიათ ევლება ჩვენს სმენას, და გრძნობა ჩვენიც ტკბობას განიცდის აქ ვსამ წერტილს, და „თემის“ რედაქციას-კი მადლობას უძღვნი კარგი წიგნის გამოცემისათვის, რომლითაც მან მკითხველი საზოგადოება დაასაჩუქრა.

ვახტანგ კოტეტიშვილი

გახსოვდეს სიკვდილი

დედა! ვერ დავსტკბი მშვენიერებით, ალერსის ბაღში უდროოდ დასჭკნა ტრფობის ყვავილი. სული დაწყლულდა სიყვარულის ძიებაში, ყველამ სიძულვილით გასცა პასუხი... ვერ დავსტკბი ტკბილი ოცნებით, აღმამფრენ ფიქრებს ვერ შევასხი ძლიერი ფრთები, ვერ მივსწვდი მზისა სამეფოს, სინამდვილის უხეშ მკლავებზე შეუბრალებლად დამემსხვრა ზეაღმამფრენი ფიქრი-ოცნება. ვერ დავასრულე ჰანგი უკვდავი, უდროოდ დასწყდა ჩანგის სიმები.

დედა! ვერ ვპოვე ტურფა კოლხეთი, ვერსად ვერ ვპოვე მწერმა სამშობლო, ვერ შევეთვისე ბუნების წიაღს, სადღაც ხევ-ხევში გულსაზარლად აკივლდა ჭოტი.

ვაიმე დედავ! ობლად შთენილი, სასიკვდილო ისრით გვემული ვგდივარ ცხოვრების ველზე, მარტო ვარ, არავინა სჩანს წყლული მომბანოს, მხოლოდ ქარი მიმღერის ველურ ნანინას და ყვავ-ყორანნი თავს დამჩხავიან: გახსოვდეს სიკვდილი! დემონიც თავს დამხარხარებს: გახსოვდეს სიკვდილი.

დედა! რა მესმის? ნუთუ გიკვდება ბედკრული შვილი? მაშ ოდეს ტკბილ კოცნით უსუსურ ბავშვს თვალთ ამიხილე, უკვდავებას რად მპირდებოდი?

მიხ. ბოჭორიშვილი



სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის პრეზიდიუმი

შუაში ყრილობის საპატიო თავმჯდომარე მხცოვანი მგოსანი **აკაკი**, მის მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: მთავმჯდომარის ამხანაგები—გ. ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, ალ. კონიცკი; მდივნები—იოს. რომანიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი; მ ა რ ცხ ნ ი ვ—თავმჯდომარის ამხანაგები—ვლ. ალ.-მესხიშვილი, იოსებ ბარათიშვილი; მდივნები—შალვა დადიანი, სიო კანტურიშვილი, იოსებ იმედაშვილი, პოლიო კალანდაძე (ირეთელი).

ჯამი

ახლა ჩვენც გავიოვალისწინოთ: „რა ვაკეთეთ, რას ვშრებოდითო“.

მე მოგახსენებთ უკვე შემდგარ და ეგრე ბრწყინვალედ ჩატარებულს „სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე“.

ამ ყრილობის საზოგადოებრივი და ისტორიული მნიშვნელობა ჩვენმა პრესამ თითქმის ერთხმად აღიარა, აღნიშნულ იყო ის სასიამოვნო მოვლენაც, რომ ყრილობა გამოვიდა შინაარსიანი, დინჯი და მრავალ-მხრივი. ანგარიში გაუწიეს ამასაც, რომ ქართველი კაცი მეოცე ერთი კვირის განმავლობაში (8-დან 15 ივნისამდე 1914 წლისა. ეს დღეები უკვე საისტორიო თარიღია ჩვენთვის) დაპატრონებდა და მსჯელობდა ქართულად და ისაც ისეთ რთულ საგანზე, როგორიც სასცენო ხელოვნებაა

ყრილობის მონაწილეთ გარდა, გარეშე მაყურებელთაც საამოვნების და სასიამოვნოს დამი დაჭერილათ სასენზე, რომ ყრილობა ესე დირსეულად მიმდინარეობდა.

ეს კი იმიტომ მოხდა, რომ არავინ მოელოდა, არვის სჯეროდა, თუ ასე რიგიანი და შინაარსიანი სხდომების წაყვანა შეგვეძლო ქართველებს.

ეს ურწმუნოება ბევრში გვლუპავს ჩვენ და, მაღლობა ღმერთს, სცენის მოღვაწეთა ყრილობამ მაინც გვაჩვენა, რომ არც მთლად ეგრე წაყვლეულები ვართ. დამჯდარი ბაასი და პარლამენტალური კამათი ჩვენც შეგვიძლია და ისიც ჩვენს მშობლიურ ენაზე.

სხვაც რომ არაფერი გაეკეთებინა ამ ყრილობას, უკვე ეს მოვლინებაც დიდი პატიესი იქნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ყრილობა.

აქვე ერთი შესწორება: ნუ ეგონება ვისმე, რომ მე უსათუოდ და მხოლოდ ქება მინდოდეს გასულ ყრილობისა.

ეს, როგორდაც მე არ შემფერის. მაგრამ რაც კარგი მხარე ჭქონდა, ამასაც ვერ დავფარავ.

მართალია, ამ ყრილობასაც უთუოდ აკლდა ბევრი რამ. უმთავრესად ის, რომ წინასწარი მუშაობა მეტად უგულოდ, უნერგიოდ იყო წარმოებული და ამისათვის ზოგიერთი ფრიად საჭირო საკითხები ან სრულიად არ იყო ყრილობაზე წარმოდგენილი, ან თუ იყო—ძალიან სუსტად.

მაგრამ თვით ყრილობის სიცხოველემ გამოისეიდა ნაკლი წინასწარი მზადებისა და ამითი ერთჯერ კიდევ განმტკიცა ის აზრი, რომ ამ ყრილობის შედეგნა მიუტიდებელი იყო— რომ უმრავლესობას მაინც პროვინციისა და ცენტრებისას მომწიფებული ჭქონდა ბევრი საკითხები, რომელთ უთუოდ საჭიროთ და პირუთვნელი პასუხის გაცემა სჭირდებოდა.

უდიესი ნაკლი ჩვენი ყრილობისა კიდევ ის იყო, რომ უველა ჩვენი საოუსტრო კუთხე არ

იყო წარმოდგენილი, არ იყო ბოწყვეული აგრეთვე ზოგიერთი სასწორო დაწესებულება თუ პიროვნება თავის დროზე და ამითა აკლდა სასრულე და სიფერთოვე სავანთა გაშუქებას, მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს ერთი მხრით საეპეოობის ბრალია და მეორე მხრით წინასწარი უნერგეობისა.

რადა თქმა უნდა, უველანი ვერ დარჩნენ ერიდობით კმაყოფილნი. ზოგს ეს უფიცობითაც მოუვიდა. მაგ. ეგონათ, რომ პრაქტიკულ საკითხებს ერიდობა ეხლავ გადაწყვეტდა. ზოგს კიდევ ერიდობა პირად ანგარიშების გასასწორებელი ასპარეზი ეგონა და გული დაწყდა, რომ არაფერი ამ გვარი არ მოხდა.

ამ გვარად არიან უკმაყოფილონიც, მაგრამ, რაც უველაზე უარესია, არის კიდევ მესამე ელემენტი, რომელიც ერიდობა მხოლოდ სალაყბოდ მიიჩნია და თვით კი კრიდოვის კატის მდგომარეობაში ჩასდგა. —

„а кот-васька слушает да ѣст“-

უველა ამათ კი დაავიწყდა, რომ სასოგადოო ერიდობა ერთგვარი ჯამის შესაგებია განვლილსა და თან პროექტის ჩამოაალიებება მომავალი მოქმედებისა; რომ ერიდობა იგივ სახოგადოებრივი აზრია და მისი მაღალი დანიშნულება მხოლოდ ზნეობრივია.

ასე თუ შეგხედავო, ჩვენმა პირველმა ერიდობამ დიდი ნაყოფი მოგვიტანა: წარმოითქვა ბევრი სიდი მოსაზრება და გამოტანილ იქმნა ს

მოეკვეთა იმ უნიადაგო, მაგრამ სიგრძნობელ ეოფიერობასს, რომ მე თბილისელი ვარ, თბილისში მომუშავე და მაშასადამე პროვინციელზე უფრო მადლიერი...

ამ გვარად ჩვენმა ერიდობამ გამოიჩინა სამართლიანობა და უნარი დღეგანდელი დღის ადგილის აღებისა.

რაც შეეხება სხვა, ერიდობის მიერ გამოთქმულ, ზოგად მოსაზრებათა და პრაქტიკულ დადგენილებათა, ამაზე შემდეგ მოვიდაპარაკოთ.

მსახიობი გ. არადელი-იშნელი

ომიანობის გამო სამსახურში გაწვეული.

ქართველ მწერალთა წერილები

(იხ. „თ. და ც.“ № 21)

ილია ჭავჭავაძის წერილი

„ბატონო სოფრომ!

„თქვენი წერილი მივიღე და, სწორედ მოგახსენოთ, ცოტა არ იყო მეცა. თქვენ მწერთ „მე დამარწმუნესო, რომ თქვენ გამლანძღეთ და მერე ესევე მეთაურს წერილში გამოსთქვითო“ და სხვანი. ვინც დაგარწმუნათ, რომ მე გლანძღეთ, მაგისი პასუხი იმასვე უნდა მოჰკითხოთ. მე არა ვარ ჩვეული ენამტანიობით გაფუებული საქმე ვიძიო და ან ვისმე ამის გამო პასუხი ვუგო. რუსები ამბობენ: „на всякое чиханіе не наздравствуешься.“ ჭორებს ჩემს დღეში არ გავმკლავებივარ და არც ოდესმე გავემკლავები—ეს მე უკადრისობად მიმაჩნია. ამიტომაც ნუ მიწყენთ, რომ მე იმაზე არავითარს პასუხს არ ვიძლევი, რაზედაც თქვენ ვიღასაც დაურწმუნებიხართ.

„რაც შეეხება მეთაურს წერილს, იგი თქვენ წინ არის და მიკვირს სხვის დარწმუნება რაღად დაგჭირებია, როცა გულდინჯად რომ გაგესინჯათ, მაგ მეთაურს იმას არ დაბრალებდით, რასაც სხვისის დარწმუნებით აბრალებთ. მთელი მეთაური იმ საძაგელს და ყოველად საზიზღარს პასქვილზეა დამყარებული, რომელიც მანდ თურმე დადის, რომელსაც მანდაური საზოგადოება სამართლიანის ზიზღით არ მოეპყრო და რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, იყო თქვენს კორრესპონდენციაში. სწორედ მოგახსენოთ, წინასწარ რომ მცოდნოდა, რომ თქვენგან წოდებული „ქალ-ვაჟიანის“ ლექსი რითიმე მოგონებდა კაცს იმ საზიზღარს პასქვილს, არას გზით მის ხსენებას კორრესპონდენციაში არა ვითარს ადგილს არ დავუთმობდი, თუნდ ამისგამო თქვენისთანა სასურველი და პატივ-საცემი თანამშრომელი დამეკარგნა. თქვენც დამეთანხმებით, რომ იმ პასქვილის ხსენება, ცარიელი ხსენებაც კი გაზეთისთვის დიდი ჩამოუბანელი ჭუჭყია. რაკი ის წრეს გადასული პასქვილი ახსენეთ, თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებოდათ რათ ახსენებდით და ამიტომაც მოვალენიც იყავით ან შესაფერი დაღი დაგესოთ, ან სულ არ გეხსენებინათ. ახლა კი ისე გამოდის, თითქო გაზეთმა რეკლამა გაუკეთა და ვისაც გუნებაშიაც არა ჰქონია, იმასაც კი მადა გაუხსნა იმ პასქვილის წაკითხვისათვის. ეს აშკარაა, რომ გაზეთში ხსენებით იმ პასქვილს გასავრცელებლად გზა გაეხსნა და ნუ თუ ეს შემაძრწუნებელი ამბავი არ არის გაზეთისათვის. მე ყოველს ეჭე გარედ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამისთანა განზრახვა არა გქონიათ, მაგრამ მით შეცდომა შეცდომად ჰრჩება და მე ჩემდა უწმინდეს მოვალეობად ვიცან საქვეყნოდ გამომეცხადებინა, რომ ჩვენს გაზეთს იმ ყოვლად მცრალს პასქვილთან არა ვითარი კავშირი არა აქვს და თუ ჩვენს გაზეთში მისი ხსენებაა, ეგ ჩვენ არ ცოდნით მოგვივიდა, რადგანაც თქვენ არას იწერებოდით და ჩვენ გულთმისნები არ ვიყავით.

„ითხოვთ, რომ რედაქციამ „ან დაამტკიცოს ჩემი უნამუსობა, უპატიოსნობა, უსინდისობა და ქურდ-ბაცაცობაო, ან შეურაცხყოფისთვის პასუხი მაგასო“. არ ვიცი, ეს სიტყვები რას ჰნიშნავს და რას მოასწავებენ? ნუ თუ პასქვილის დამწერი თქვენნა ხართ! თუ მაგისთანა ეპიტეტებია ხმარებული მეთაურში, ხომ მარტო პასქვილიანტის შესახებ არის და თქვენ რა გზით და რა მოსაზრებით მიგიღიათ თქვენს თავზედ? ჩვენ, ჩვენდა სასიხარულოდ, ვიცით, რომ პასქვილი თქვენი არ არის და თქვენი მართებულებაც იმოდენად გვწამს, რომ მაგას თავის დღეში არ იკადრებდით და საიდამ სადა. მწერთ, სხვებმა დამარწმუნესო და აბა იფიქრეთ, კაცმა კაცს რომ პასუხი მოსთხოვოს მასზედ, რაზედაც სხვანი დაარწმუნებენ—სად წავა? იქნება ბევრმა ბევრს სხვა რაზედმედაც დაგარწმუნოთ და მე რომ ამაების პასუხი ვუგო, მარტო ჭორების უკან დევნას-ღა მოვუნდები და ჩემს საკუთარს საქმეზედ კი ხელი უნდა აეიღო. გადიკითხეთ მეთაური, სხვის დარწმუნება რად გინდათ,—და მაშინ ჰნახავთ, რომ თქვენ მარტო იმაზი ხართ გა-

კომპოზიტორი დ. არაყიშვილი

.. და განისმის ხმა ჩემი უდაბნოსა შინა!..

კინწლული, რომ ჩვენს გაზეთს ახსენებინეთ ის, რის ცარიელი ხსენებაც კი ჩირქია მართებულის გაზეთისათვის.“

„ნუ მიწყენთ, რომ ასე გულახდილად გელაპარაკებით თქვენს განუზრახველს და უნებურს დანაშაულობაზე. მე ჩემს თავს ამის ნებას ვაძლევ, იმიტომ-რომ მეგულებით ჩემს კარგ ნაცნობად და პატივსაცემ კაცად. მე თქვენი დიდი პატივისცემა მაქვს და ეს პატივისცემა დღეს აქამომდე არ შერყეულა და ვერც ეს სამწუხარო ინცინდენტი შეარყევს. ხოლო იგივე პატივისცემა მაიძულებს არ დაგიმალოთ და პირდაპირ მოგახსენოთ: დიდად საწყენი იყო, რომ თქვენს წერილში ეგ მყრალი და საძაგელი პასქვილი ღირსეულ დაღ დაუსმელად დასახელებული იყო და ამით გაზეთს ბრალი უნდა დასდებოდა, რომ მის მიერ პასქვილს ცოტად თუ ბევრად გზა ეხსნება ხასიათულოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ მოუფიქრებლობით მოგვიდათ და არა განგებ და, რადგანაც გული წმინდა გქონდათ, ფიქრადაც არ მოგვიდოდათ აგეწონათ—მარტო ერთი დასახელება პასქვილის რას მოასწავებს ამ შემთხვევაში. ეს ჩვენ კარგად ვიცოდით, მაგრამ გაზეთისათვის კი უნდა გვენაღვლა, რომ შორიდამაც არავითარიმე ჩირქი არ მოსცხებოდა და გუმანსაც კი თვისის ბრეკალით არ გაეკაწრა წმინდა სახელი გაზეთისა. იქნება სთქვან: ეგ მეტის-მეტი სიფრთხილეაო, მაგრამ, ჩემის აზრით, ამისთანა შემთხვევაში გადაჭარბებული სიფთხილე სჯობია წინ დაუხედავს სითამამესა. თუ ჩვენს გაზეთში, ჩვენდა უნებურად, თქვენი საწყენი რამ გამოერია, გთხოვთ, როგორც ჩემს კარგს ნაცნობს და ჩვენის გაზეთის გულშემატკივარს, თქვენი წყენა ჩვენს განზრახვას არ მიაწეროთ, არამედ მეტის-მეტს სიფრთხილეს, რომ ჩვენის გაზეთის სიწმინდე ჭორებსა და პასქვილებში ფარეგით არ შეიბღალოს.“

„იწერებით, გაზეთშივე გამოაცხადეთ, რომ მეთაური „ივერიისა“ ჩემის ფელეტონით არ არის გამოწვეული. რას ეგვანება? ვინ რას იტყვის? ეგ ხომ პირდაპირი მითითება იქნება თქვენზედ. განა არ იკითხავენ: თუ აქ ცეცხლი არ არის წაკიდებული, ეს ბოლი საიდამ გაჩნდაო. მე კი მეთაურში ვცდილობდი არავინ მიხვედრილიყო, ვინ შეგვიყვანა უნებურად შეცდომაში. ამიტომაც ფელეტონად კი არ ვახსენეთ თქვენი წერილი, არამედ რაღაც მოთხრობად, მაშინ როდესაც თქვენს მოწერილს მოთხრობას არა ეცხრობა და უფრო კორესპონდენცია იყო, სიდიდის გამო ფელეტონად დაბეჭდილი“.

„გთხოვთ, შესაფერის ზიზღით მოირიდოთ ყოველივე ჭორი და იმოდენად პატივიმცეთ მე, რომ თავის დღეში არ იგულისხმოთ, ვითომაც მე ყოველ გამველელ-გამომვლელ მატრაკვეცას ჩემს გულის-ნადებს ხელის გულზედ ვუშლიდე მოედანზედ საბუთთალოდ. თქვენც უნდა კარგად იცოდეთ, რო მე მეტის-მეტად ძვირფასად მიმაჩნია ყოველი კაცის ღირსება და პატიოსნება და ნამეტნავად ჩემის კარგის ნაცნობისა. ამიტომაც მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი, მორიდებული ვარ და თავის დღეში არ ვიკადრებ, რომ ადამიანის პატიოსნება ჭორის სათამაშო ბურთად გავხადო“.

„არც კი ამას დაგიმალავთ, რომ მე არ ავჩქარებულ ვიყავ და რიგიანად დავფიქრებოდი ჩემთან მოტანილ ამბავს, თქვენ შესახებ ჩვენის მეთაურის სიფიცხე ცოტად განელებული იქნებოდა. მაგრამ აქ ქალის ნამუსი და პატიოსნება იყო ხელშეხებული და ამიტომაც ზიზღმა და აშფოთებამ გადამავიწყა, რომ:

ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

9 ივლისი, 1887 წელსა

თქვენი პატივის-მცემელი ილია ჭავჭავაძე

ვიმეორებ, ანტონმა მეტ გამასვლა მოტანილის ამბით და იდიცა. თუმცა იდია მამტკიცებს, რად დაუჯერე მოტანილს ჭორსა, შენ წინ დეგს მეთაური „ივერიისა“, შენ არა შეგესებარაო, მაგრამ წერილის ბოდოში თითონვე თავს არ ითავისუფლებს აჩქარებისაგან და სჩანს, იდიც მოტანილმა ამბავმა აიჩქარა, „მე რომ არ ავჩქარებულ ვიყავ,—ამბობს იგი ბოლოს,— და რიგიანად დავფიქრებოდი ჩემთან მოტანილ ამბავს, თქვენ შესახებ ჩვენის მეთაურის სიფიცხე ცოტად განედებული იქნებოდაო. ამ „მოტანილმა ამბავმა ქალის ნამუსის შესახებ“ დაავიწყა იდიას, რომ „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

ოვიანოვის გამო

მათი იპერატორებითი უდიდებულესობა
ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ II

ინგლისის მეფე გიორგი V

საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე

შუქურ ვარსკვლავი

(იხ. „თ. და ც.“ № 21)

IV

გავიდა ჟამი. დასთოვა გადაჭკნა მთა და ველია
და ქარიშხალი, სასტიკი გულით არ სასურველია,
ხან ხეს ამოსთხრის ასწლოვანს, ხან ღმუის, როგორც მგელია,
ხან დააყენებს თოვლის მტვერს, კარში გახედვაც ძნელია.
მესმის, ზამთარო, ზამთარო, რისთვის ხარ სულის მკვლელია!
ცივი გაქვს გული, არა სჭრის შენზე ცრემლები ცხელია,
ყველაფერს ახმობს უდროოდ შენი ბოროტი ხელია,
აღარ იბრალებ მასაც კი, ვინც მიჯნურობით ხელია;
ეხ! მოხუცებულ-ბებერსა გრძნობა სულ გამოგელია,
ნუ ჰგონებ სხვასა არ ჰქონდეს გულში სურვილი მწველი!

V

აღარ ამშვენებს სარკმელსა თამარის სახე ნათელი,
სატრფოს ვერ ხედავს შუქურა, გული აქვს სევდით ნათე ,
კვნესა გოდებად აქცია თითქმის ზამთარი მან მთელი,
ვაჰ! ტრფობის ისრით დაკრილი, ნეტავ ვინ არის ჯან-მრთელი.

VI

ბოლოს მზეს უთხრა საბრალომ: „მზევ გული მომიკვდებაო,
თუ ივერიას ზამთარი ეხლავ არ მოშორდებაო.
მე თამარ მეფის ტრფობითა გულს ცეცხლი მეკიდებაო,
უსულო ქვამაც კი იცის მიჯნურის შებრალებაო.
გაადნე თოვლი ყინული, მიიღე მოწყალებაო,
თორემ ზამთრისა მიზეზით სატრფო აღარა ჩნდებაო:
ნეტავ თავისი სარკმელი, რად აღარ აგონდებაო?“
მზემ უთხრა: „შენი გოდება მეც მესმის, გულში მწვდებაო,
და შევასრულებ შენს თხოვნას, ნუღარა გეფიქრებაო,
შეიქმენ ღმერთი ზაფხულის, დე გქონდეს ძალა, ნებაო,
ისე შეამკო ის მხარე, როგორც შენ გესურვებაო,
აშორო თოვლი, ქარ-ბუქი, ყინვა და გაპირვებაო,
შენი მიჯნურის ქვეყანას დაუდგეს ნეტარებაო,
ვარდ-ყვავილთ დააკმევინო ნანატრი სურნელებაო“.

VII

ამის გამგონი შუქურა აღინთო სიხარულითა,
ქება-დიდება მიუძღვნა ნათელ მზეს წრფელი გულითა,
ასე სთქვა: „როგორც ეს მხარე, მოვრწყე ცრემლისა ლულითა,
ისე აღივსოს სიამით, ბედნიერებით სრულითა.
სანამ მზეს ჰქონდეს სინათლე, სიმწვანე ნაძვის ტყესაო,
სანამდის ნორჩი ჯეჯილი დაამშვენებდეს კლდესაო
და საუცხოვო ნაყოფი ქაცვიან ეკლის ტყესაო,
მანამდის ივერიასა წილად ნუ ხვდება კვნესაო:
თვითონ უკვდავმა ღმერთებმაც შეჰნატრონ იმის სვესაო?“

VIII

მალე აღსრულდა, სულ მალე, ბედის ვარსკვლავის სურვილი:
დღე დადგა დია ნათელი, არ ნისლით შემობურვილი;
გამრთელდა გული ქართველთა, თუმც წინად იყო ურვილი, —
როს კაცი დალევს სასმელსა, აღარ აწუხებს წყურვილი.
აყვავდა ჩვენი მწერლობა, მოშენდა ქართველთ ერია,
დაიწყო მშვიდად ცხოვრება, არ აწუხებდა მტერია,
შინ ყველა ძმურად სცხოვრობდა, ორგული არსად ერია,
ააგეს ციხე-დარბაზი, მრავალი მონასტერია.
ივერიელთა დაუდგა ლხინი და სიხარულია,
მოისპო კენესა-გოდება, მორჩა იარა, წყლულია,
თესლმა მოიღო ნაყოფი, არ წახდა ჭირნახულია,
მარად ჰყვაოდა ბუნება, კვლავ იდგა გაზაფხულია.
გამდიდრდა ენა, მხატვრობა... ჟამი კი ჟამად დიოდა,
შუქურ ვარსკვლავი დღისითა ღამეს უცდიდა, სჩიოდა.
რა ხანა იყო ნეტარი, როცა სულს აღარ სციოდა,
როდესაც ბედის წყალობა ქართველთა თავსა სცვიოდა!!.
მაგრამ ულცრად დაბნელდა, შეირყა მთა და ბარია,
სევდამ დააზრო ყვავილი, სეტყვამ დაადგო მკვდარია.
ნეტამც არ ამოკრილიყო სასტიკი გრიგალ-ქარია.
მზეს აღარ დაჰფარებოდა შავი ღრუბელის ჯარია!
ლხენა შესცვალა გოდებამ, შხამით აივსო თასია.
მოსთქვამს მტკვარი და არაგვი, ზეცას ჩაუცვამს ფლასია,
გულს რას მოალხენს სიმღერა, ყნოსვას დაატკბობს რას ია,
როცა თმებს იშლის, ღაწვს იხოკს, ქართველ დედათა დასია.
მოკვდა თამარი. გაისმის ყოველგან მოთქმის ხმებია,
მწვანე ტყე სევდით შრიალებს, ჩაფიქრებულან მთებია,
სტირის ქვა, მაღლა ზეცაში ქვითინებს ვარსკვლავებდა,
ბედნიერება მიჰფარდა, სიხარულს მოსტყდა ფრთებია.
ერმა დაჰკარგა საუნჯე, კენესა და გასაკვირია?
მგოსნებმა მღერა შესწყვიტეს, აღარ სურთ დაფი, სტვირია.
ეს რა იხილა შუქურამ, მყისვე იბრუნა პირია
და ივერიას ამ ჭირზე დაერთო კიდევ ჭირია.

IX

წარსულის მოგონებითა მომედო სევდის ალია,
გულს ოხვრა-კენესა აღმოხდა, ცრემლმა ამივსო თვალია,
გესმის შუქურავ: »რაც ჭირი მოგვადგა, შენი ბრალია,
ბედო! ჰე ბედო! რისთვის ხარ ცვალებად-წარმავალია?
მისმინე, შუქურ ვარსკვლავო, ვსცანი სიმუხთლე შენია,
არ გახსოვს თამარ, მზის დარი, ვისთვისაც ცრემლი გდენია?
თუ ააყვავე ყოველმხრივ ლამაზი მხარე ჩვენია,
მერმე რად აღარ გვკადრულობ? სინდისის აღარ გრცხვენია?
აი მსურს ყველას უამბო, რაც შენზე განაგონია.
მაშ, როგორ ჰფიქრობ მითხარი, შეგარჩენ განა, გგონია?
რა თამარ მოკვდა, წაგვართვი ჩვენაც დიდების დრონია,
გასაჭირის დროს ღალატი, არ არის მოსაწონია«.

X

როცა ამ სიტყვებს ვაბობდი, ჩავიდა მზე სხივთმფენია,
ღამის ბინდ-ბუნდმა დაფარა ციცაბო მთა და კლდენია.
ზეცას შევხედე, ვიხილე შუქურა მონაწყენია.
და ჩამომძახა: უთხარი ყველას რა ჩამიდენია
მხოლოდ მართალი არ არის, რაც ჩემს შესახებ გსმენია,
თამარისაოვის ცრემლები კვლამცა მდ'ს, ვითა მდენია.
მაგრამ თქვენ მხარეს განა მე წავართვი შვების დღენია?..
იცი თამარის სიკვდილით გული როგორა მტკენია?
ან ნეტავ სატრფოს დამკარგველს რაღა აქვს მოსაღხენია?
თუმც გული მოკვდა, როდესაც ვნახე თამარი მკვდარია,
მაინც მინდოდა შემემკო მისი მთა, მისი ბარია
მაგრამ მე თქვენში ვერ ვპოვე ჩემი ღვთაების დარია,
მიტომ წავართვი ქართველებს გაზაფხული და დარია.
ვარდს ყორნის ხელში გაფურჩქვნილს, ბევრად სჯობს ვარდი მჭკნარია.
ყური დამიგდე, ისმინე, შეიგენ ჩემი თხრობილი,
ამას მიმოწმებს მარიხი და სხვა მრავალი ძმობილი,
რომ ჯერ არ არის თქვენს ქვეყნად, ვინც მინდა იგი შობილი,
ნუ დამგმობ, თუ სხვას ვერ მივსცე სამოთხე ყოვლად მკობილი.
როს თქვენი მხარე წარმოშობს თამარისთანა სხვა ქალსა,
სახედ ანგელოზს უცოდველს, გონება-სულით მაღალსა,
მე მივანიჭებ გაზაფხულს თქვენს დამხსნელ მფარველს ახალსა,
თუმცა ის ძველი ტრფობისას ვეღარ ჩამიქრობს ახ, ალსა!"

XI

თავი დამიკრა ვარსკვლავმა, დაჰღვარა ცრემლი ცხელია.
მის შემდეგ იმედს მიღვიძებს სიტყვები შვების მგვრელია,
ველი, თუ როდის გაჩნდება, ის დანაპირი მხსნელია
და სული ზოგჯერ ეჰმუნვარების, რადგანც ლოდინი ძნელია...

მთის ნიავი

დედინაცვალი

(იხ. „თ. და ც." № 19–21)

VIII

ეთერა შემოდის და მერე **ელიკო**

ელიკო. ეთერა, გიფიცებ ყველაფერს, ნუ მომატყუებ, მართლა მოვიდა ბებო?

ეთერა. მოვიდა ჰო. წუხელი მოსულა

ელიკო. ახ, ეთერა, შენი ჭირიმე!

ეთერა. შენი წაყვანა უნდა თურმე.

ელიკო. ვინ გითხრა?

ეთერა. მოლოზანმა.

ელიკო. ოი, ნეტავი მაგას მოვესწრებოდე!

ეთერა. ღამეც იქ გაუთევია, ამ დილით უნდა ამოვიდეს და შენი თავი ამ კაცს შეაბრალოს.

IX

იგინივე, **დედინაცვალი** და **მარო** (შემოდიან ჭაშკრიდან) მერე **ხალამპრე**

მარო. (შემოიდაბარკებს) დეიდა, მიჩვენე შენი ჭირიმე, მიჩვენე! (შედიან სახლში)

ეთერა. ოი, მიწამ კი გეპამოს შე ქვეყნის დამქცევო, შენა.

ხალ. (შემოდის ჭაშკრიდან)

ეთერა. (ედიეოს) აი ისიც.

ელიკო. ვინა?

ეთერა. ის კაცი. გოგო რამ შეგაშინა,



მწერალი და საზოგადო მოღვაწე
ზაქარია გულისაშვილი
(გარდაცვ. 6 თვის შესრულების გამო)

შე საწყალო, ხომ არ შეგეპამს? ოდესმე ხომ უნდა გნახოს. (ოთხს უკრავს ხალიმბრეს)

ხალ. დილა მშვიდობისა! (ედიკოს მოჭერავს თავლს, მიგა ახდოს და თმაზე ხელს გადაუსვამს) ნუ გეშინია, პატარა, ნუ გეშინია! (ჩახედავს სახეში) ობოლი თუა?

ეთერა. დიახ, ბატონო, ობოლია.

ხალ. რა დახატული რაᲗაა, აქაურია?

ეთერა. სალომეს გერია.

ხალ. (შეკრთება) რაო? სალომეს გერია?

ეთერა. დიახ, ბატონო!

ხალ. ჰოოო! (ერთი წამით შედგება, მერე ისევ ედიკოს გადახედავს, ერთს გაიგდ-გამოგდის). სხვა არაფერი. აალაგეთ, აალაგეთ!

ეთერა და **ელიკო** გადიან.

ხალ. (ედიკოს) მოიცა! (მიგა მასთან) ბიძია, რადა კოჭლობ?

ელიკო. გუშინ, ბ-ნო, ფეხში ეკალი შემერჭო.

ხალ. ეკალი ხომ არ ჩარჩა შიგ?

ელიკო. არა. ეთერამ ამოიღო.

ხალ. ერთი ეს მითხარ, რათა ხარ ასეთ ყოფაში? ვინმე ხომ არა გცემს?

ელიკო. (გულჩაგიდებული) დედინაცვალი და მარო.

ხალ. კარგი, ნუ სტირი. (სელს უთათუნებს დოყლაზე) საწყალი გოგონა, საწყალი გოგონა! (ეძახის) **სალომე, სალომე!**

X

იგინიგე, **დედინაცვალი** და **მარო** ეიგანზე გამოდიან.

დედ. რა იყო?

ხალ. ცოტა ხნით აქ მოდი.

დედ. (ჩამოდის ძირს) რა მოხდა, რა ამბავია?

ხალ. შენ თურმე გერიცა გყოლია?

დედ. მერე რაა, რომ მყოლია?

ხალ. მერე რატომ არა მითხარი რა?

დედ. ნეტა მაცოდინა, ამისი უთქმელობა რა ისეთი დიდი დანაშაულია?

ხალ. (უჩვენებს მარიზე, მერე ედიკოზე) როგორ მოგწონს ეს სანახაობა? (ედიკოს) ბიძია, ეხლა წადი? (ედიკო სწრაფად გადის)

დედ. არ მესმის, რა გწადიან?

ხალ. რაღა არ გესმის, დალოცვილო! ბავშვი ჭუჭყს შეუჭამია, მშიერი, ჩამოფლეთილი. წელან მაროს შესახებ მთხოვდი დახმარებას, ამაზე კი კრინტი არ დაგიძრავს; საკადრისია ეს?

დედ. შენ, ჩემო კეთილო, ძალიან ადრე იწყებ ჩემს საქმეში ჩარევას, რაც მე ჭირივით მეჯავრება. ჯერ უნდა გაგეგო საქმის ვითარება და ისე დამკითხებოდი, მაგრამ შენ რომ ჩემზე გულნატკენი არ დარჩე, გეტყვი, რომ მაგ გოგოსათვის მე მოვლა არ დამიკლია; ისეთი მოდგმისაა, რომ რამდენიც უნდა შეუკერო, მეორე დღეს სულ ასე ჩამოფლეთილია. ავადმყოფობაც დედამისმა უანდერძა.

ხალ. არა, არ ღირს მაგაზე ლაპარაკი; დღესაკით ნათელია. ვერავინ მოგთხოვს რომ თავისიანზე ძლიერ სხვა გიყვარდეს, მაგრამ ასეთი უმერთობა! მე ამის მოთმენა არას გზით არ შემიძლია. ორმოცდა შვიდი წელი ისე გამიტარებია, რომ ნამცეცი ჭუჭყისა არ მომცხებია, შერცხვენილი და თავლაფ-დასხმული, ერთს დღეს ნუ მაცოცხლოს ღმერთმა. არა, სალომე, აშკარაა აქედან წასვლა მოგვიხდება, სხვის ნაოხარზე პარპაში ჩვენს სულს დაამძიმებს.

დედინ. (ერთს გესლიანად ჩაიხითხითებს)

VI

მარიამი და **ომიანიძე** (შემოდიან ჯიშკრადან, ამათ შეუმჩნეველთ) **შერე ელიკო.**

ეთერას ხმა. ელიკო! ბებია მოგვიდა.

მარიამი. შუადღე შვიდობისა, ბატონო!

ხალ. ღმერთმა შვიდობა მოგცეს, მობრძანდით (ომიანიძეს თავს უკრავს, შემოდის ულიკო)

ელიკო. (სმის კანკალით) ბებო, ბებო! (ჩაეკვრის გულში)

მარ. (შეტად გაძვალტყავებული და დარიბულად ჩაცმული მოხუცია) ვაიმე, შვილო, რა ღღეში გხედავ, რას დამსგავსებიხარ, შენ შემოგგვლოს ჩემი თავი! სად არის შენი ოქროს ფერი ნაწნავი, ან წინანდელი ფერხორცი? (დაეყვირებს გაძწარებით) მოუკლავთ ამ ულმერთოებს, მოუკლავთ! (ხალამბრეს) შვილო! შენი განიერი მხარბეკის ჯირმე, თვალებში გატყობ, ღვთისნიერი კაცი ხარ; იქნებ მოგვხედოს უფალმა და შენმა აქ შემოსვლამ ჩემს პაწაწას სიკეთე მოუტანოს. მე ამისი ბებია ვარ. ზოგი დედინაცვალი გერისათვის ნამდვილი დედაა, ზოგი კი (ხალამბრეს მიუთითებს) ამასავით ღვთის წყრომა და ცეცხლია. სხვას არასა გთხოვთ, ყველაფერი თქვენი იყოს, მხოლოდ, გმუდარები, ცოცხალი მაინც გამაყვანინო აქედან ჩემი საუნჯე.

ხალ. დედი! მე არა მესმის რა. მე აქ სრულიად უცხო ვარ და ამ ოჯახში ჩემ ცოლს გარდა არავის ვიცნობ; ნუ გადამრიეთ, დამაცადეთ, გონს მოვიდე, გავიგო საქმის ვითარება.

მარიამი. (მოთქმით) გამატანე მე ჩემი ნუგეში, გამატანე, თორემ აქვე თავს მოვიკლავ. ნუ გამიშვებ აქედან ხელცარიელს, ღმერთი შენს თავს გამიბედნიერებს.

ომიანიძე (მწარე სიცილი წასკდება) „ღმერთი შენს თავს გაიბედნიერებს“-ო.

დედინ. ხალამპრე! თუ ეს გადაყრუებული დედაბერი ხმას არ ჩაიკმედს, მის გახრიოკებულ ძვლებს ჩემს ერთგულ ძაღლებს დავაგლეჯინებ. (ომიანიძეს) ან შენ, ქაჯო პეტრე! რათ მოეთრიე? დაგავიწყდა განა ჩემი მუჯლუგუნები?

ხალ. (დედინაცვალს) მოითმინე, მოითმინე! (მარიამს) კარგი, წაიყვანე, ხოლო მე უნდა ვიცოდე, სად გეძნებათ ბინა?

მარ. შემოქმედში, შორეულ ნათესავთან. მართალია ისიც ღარიბია, მაგრამ როგორმე იოლათ წავალთ.

ხალ. ძალიან კარგი!

დედინ. ვერ წაიყვანს.

ხალ. მოითმინე, მოითმინე! როცა მე ვსთქვი წაიყვანს მეთქი, მორჩა: თუ დედობას ვერ გაუწევ, უმჯობესია მოიშორო.

მარ. (მოეხვევა დაჩოქილი მუხლებზე) შენი ჭირმე, შენი.

ხალ. (ხაუნებს) ადექი, დედი, ადექი! აი ჯერ-ჯერობით ეს ცოტაოდენი გროშები სახარჯოთ, დანარჩენი შემდეგ. იცოდე ობოლს მამა-პაპეული არ დაეკარგება.

ომიანიძე. (მიგა და შუბლშიაკოცებს ხალამბრეს) ქრისტიანი ხარ, ქრისტიანი! (მარიამს) აბა, დიდედო მარიამ, წავიდეთ.

მარ. (ხალამბრეს) იკურთხოს შენი სახელი, იკურთხოს! (გადაეხვევა შეშფოთებული სიჩქარით. ამითი წასვლის შემდეგ მცირე სიჩუმეა)

დედინ. იცი, რა ჩემო კარგო! შენ, ცოტა არ იყოს, თავისნება კაცი ყოფილხარ, რასაც მე ვერ ვეთვისები. ასეთი რამ მეორედ არ განმეორდეს, თორემ...

ხალ (ირონიული დიმილით) რას მიზამდი?

დედინ. გაიცინე! ეხლა, რაც მოხდა ღმერთმა შეგარგოს. ბედის მადლიერი იყავი, რომ ასე იოლად გადამრჩი. ჩემი ხასიათი კლდეზე უმტკიცესია. ღმერთო ჩემო, სიზმარია თუ ცხადი ყოველივე ეს? თუ არ შენ, სხვა ვინ გამიბედავდა ამ თავხედობას, მაგრამ რა გიყო, დღეს ქმარი ხარ, რომელსაც საკუთარი ნებით მივთხოვდი.

ხალ. ნუ ცხარობ, ჩემო კარგო, ნუ ცხარობ. როცა დამშვიდდები, მაშინ მადლობასაც მეტყვი, რომ უფრო დიდ სირცხვილს გადაგარჩინე. კიდევ კარგი, რომ დღესვე წამოანთხიე, რაც კი რამ ჭუჭყი იყო შენში. ამ ერთ საათში ისეთმა საქმემ გადაიარა ჩემს თავზე, რომელსაც საუკუნის განმავლობაშიც არ მოველოდი. შენ რომ ასეთი მზეთუნახავი არ იყო, არც ასეთი კაპასი იქნებოდი. მე ეს წინედაც შეგატყვე, მაგრამ არაფერია, თავის დროზე ყოველივე განკრება. შალაშინი გაკლია, ჩემო ლამაზო, შალაშინი და მეც ყოველივეს ვიღონებ შენს მოსათვინიერებლად. როცა სტყუი, როგორ შემიძლია მხარი დაგიჭირო. ისე-კი ვინ გაბედავს ვაგლახთ შე-

მიგინონ ბედი და იღბალი? არა მგონია ჩემით შენ უკმაყოფილო დარჩე. რამოდენიმეთ დაგიმტკიცე კიდეც ერთგულება. დედა-კაცო! მე შენ ყველაფერი მოგიტანე, რაც კი რამ მებადა: სიყვარული, შეურცხვენელი კაცური კაცობა და მთელი ოცდაათი წლის ნაოფლარი. სხვა რაღა გინდა? ეხლა ჯერი შენზეა და ვნახოთ, რით გამინაღდებ.

დედინ. (კბილთა დრჭენით და თვალების ბრიალით მიგარდება სალამბრეს; უნდა თავლები ამოაკაწრაოს)

ხალ. (სტაცებს ხელს და ისე მაგრათ მოუჭერს, რომ ის ფართხალებს) ეგენი არ იყოს, თორემ ისეთ სალტებს გაგიკერ, რომ კბილების კრაჭუნი მერე ნახე! ვინც უნდა იყო, სულ ერთია, დღეს რაკი მე გადამეხლართე, ყველაფერი ახალ დონეზე უნდა დადგეს, გესმის, ახალ დონეზე. (ჭკარავს ხელს) გასწი!

ტრ. რამიშვილი

ფარდა.

(შემდეგი იქნება)

მუსიკა

ევა ბრიუნელი, როგორც სიმფონიურ კონცერტების ლოტბარი.

შემოსვეთით დავესწარი ევა ბრიუნელის დირიჟორობით გამართულ კონცერტს. უნდა გამოვტუდე, წინასწარ „შომზადებული“ ვიყავი, როგორც გასუოებით ისე ნაცნობთა აზრით, უარფოთი შეხედულება მქონდა. ეს კიდეე არაფერი. ჩვენ, მამაკაცებს, ქალის ასეთ ასპარეზზე კამოსვლა სასაცილოდ არ გეეოფნის...ეს მეტის მეტად სერიოზული საქმეა და ამ სერიოზულ დარგში, „სერიოზული“ მამაკაცის გარდა ვერავინ წარმოგვიდგენია. ქალების „დირიჟორობა“ კეთეერსტორანების ესტრადას არ გასცდებაა და კასაკვირვალიც არ არის, რომ ასეთი შესედულება გვქონდეს.

უნდა ალვაარო სრულებით არ მოველოდი ამ დიალ მოველენას, ვამბობ დიალს, რადგან მგონია ეს ერთად-ერთი ფაქტია, რომ ქალი კამოსულიეარ ასეთ პასუხისგებ რიალში სერიოზული მომზადებით და დიდის კემოვნებით (აქ მე მხედველობაში არ მეყვანან რიალსა და სხ.სიმუსიკო საკვრავებზე დამკვრელები, ეს დარგი გაცალებით ადგილია).

ევა ბრიუნელი რომ მუსიკის სერიოზული მცოდნეა, ამას მოწმობს მისი სიმფონიური კონცერტების პროგრამები, რომელშიაც კამოკრთის იმისი შეხედულება მუსიკალურ ნაწარმოებებზე და სიმპატია კლიუკის, ბეთჰოვენის, დისტის, ბერლიოზისა და სხვა კლასიკებიდან მოყოლებული თვით ახალ მიმართულების კომპოზიტორებამდე —კრიგის, დებუსის, რაველის, ვერსენის და სხვათა ნაწარმოების შესრულებით. ევა ბრიუნელის ნიშნავლივი თვისება, როგორც დირიჟორისა, დირიკული განცალა, ის ნაზია,—სათუოა, ნამდვილი ქალური თვისებების კამომხატველი, და ფაქიზი ტემპერამენტით ხემძღვანელობს ორკესტრს; მაგრამ ძალიან მამაკაცური ეკსპრესია არ არის... მისი ეკსპრესია ძალიან-ნაკვთობას არ კაკრძნობინებთ, თითქოს ტვინ არის, მარმარილო... და სწორედ ეს არის მისი განსაკუთრებული თვისება... ეს ასევე უნდა ეოფილეო, რადგან ქალის ბუნება, როდესაც ის დიდ საქმეს ჭკიდებს ხელს, რაცა საჭირო სხვისი შემოქმედების განსახიერება, ემორჩილება გონებას. მისი შემოქმედება ამ შემთხვევაში გონებით უფრო საზრდოობს, ვიდრე გრძნობით, გრძნობა ამ დროს ქალისათვის ხელის შემშველია, დამაწყვიდმანებელი... მაგალითები ასეთ ხელოვნების ბევრია. საკმარისია დაკასახელოთ იზადორა დუნკანი,ძველი საბერძნეთის და საზოგანტიური რიკვის ადმიდგენელი და ვინდა დანდოგსკა, ძველ მუსიკოსთა შემოქმედების ნათელ მეოფელი კლავესინის საუკეთებით.

ევა ბრიუნელი თუ შეუთანა მაეურებელმასმენელზე შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს, ეს ამის ბრალია, რომ,მას ევა ბრიუნელ, არა აქვს შესწავლილი დირიჟორობის თეატრალური ჯოხის ქნევის მანერა და შეთანა მსმენელ-მეეურებელს ეს დირიჟორის ნაკლი ჭკონია. ევა ბრიუნელი ბერეული საოვალჩინო მერცხალია ამ დარგში და რაც უნდა საუსტი იყვეს, თუმცა საისუსტე მისი ვერ დაგინახე. მაგ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ზოგიერთ. უფრო მტოლნე ბერეებზე კრიგის ნაწარმოების შესრულებამ: დიდა, განსვენება ანგელი და სხვა.. ვიტეეთი თამამად ეს ნაწარმოება, ევა ბრიუნელმა ობიდანში სხვებზე

შეეთ გადმოგვცა, უფრო ფაქიზად და ნაზი განცდით. ეგა ბრიუნელის ტემპერამენტი თავისებურ დაღს ასვამს ნაწარმოებს. მისი. ნამუშევარი ძვირფასს—სადა ქსოვილს მოგვაგონებს. ეგა ბრიუნელი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ხელოვანად.

ეგა ბრიუნელიმ თბილისს გაუტანა მრავალი უცხო კომპოზიტორის ნაწარმოებნი, რომელიც აქ ან სულ არა, ან იშვიათად მოუსმენია ეგა ბრიუნელი, ვითარცა ნასწავლი, განვითარებული მუსიკოსი ქალი—ლოტბარი, სასანსრულო მოველაა. *)

ა—კო

წვრილი ამბები

ქართულ თეატრთან დაარსებულ სტუდიაში ჩაწერილთა გამოცდა-მიღება დანიშნულია 17 აგვისტოსთვის.

მსახიობ ქალი ეფემია მესხი მოწვეულია თბილისის დრამ. დასში.

მსახიობი ალ. შანშიაშვილი თბილისის დრამ. დასში მიიწვიეს.

რეჟისორნი ალ. წუწუნავა და მ. ქორელი საზაფხულოდ ქვიშხეთს წავიდნენ.

ქუთაისის დრამ. საზ-ბა მომავალი სეზონისათვის ემზადება.

მსახიობი გ. იუხნელი ომიანობის გამო ჯარში გაიწვიეს.

მსახიობ ქალი ნ. დავითაშვილი ქუთაისის დასში მიიწვიეს.

ს. სართიფალაში ვახ. თარხანაშვილის თაოსნობით ამ დღეებში პირველი წარმოდგენა იმართება.

წალვერში ი. გრიშაშვილის მონაწილეობით ახლო ხანში სალიტერატურო საღამო-წარმოდგენა გაიმართება.

ქართულ თეატრის მუზეუმს შემოსწირეს: 1) გიგო გელიკურაშვილმა 340 აფიშა და 260 პროგრამა იმ წარმოდგენებისა, რომლებშიაც თვითონ მიუღია მონაწილეობა 30 წლის განმავლობაში. 2) სოფიო ეპიტაშვილის ასულმა 20 აფიშა და ორი პროგრამა ქუთაისისა, მარტყოფსა და სხვაგან გამართულ წარმოდგენების, საღამოებისა და კონცერტებისა. რედაქცია შემომწირველთ მადლობას უძღვნის.

*) ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენს უნებლიეთ დაგვიანდა. **რედ.**

მ. კავსაძემა და ქუკუ ლოლუამ წაღვერში კონცერტები გამართეს. ხალხს განსაკუთრებით ქუკუ ლოლუას კონცერტი მოეწონა.

კომპოზიტორი დ. არაქიშვილი „პატარა ცემიდან“ მოსკოვს წავიდა. ცემში ყოფნის დროს დასწერა თვისი ოპერის „თქმულება რუსთველის შესახებ“-ბის მეორე მოქმედება.

ომიანობა

რუსეთში ომიანობის გამო მოწვეულმა სახელმწიფო საბჭომა და სათათბირომ უნდა გამოარკვიოს ომიანობის გამო მოსალოდნელი ხარჯები. ფინანსთა მინისტრმა რამდენიმე მოხსენება წაიკითხა. საყურადღებო შეტაკება რუსეთს ჯერ არავისთან არ მოსვლია.

გერმანელთა ჯარები სწრაფად წინ მიიწევიან, მათ გაბრირებული ბრძოლა აქვთ: ბელგიაში ლუქსემბურგთან (ლუქსემბურგი 1867 წლიდან ნეიტრალურ ადგილად ითვლება). ზოგიერთთა ცნობით ბელგია, რომელიც საფრანგეთის საზღვარზე მდებარეობს, უკვე აიღეს გერმანელებმა, და თავის იმპერიის ნაწილად გამოაცხადეს.

ინგლისის ძალა უკვე მოეშველა ფრანგებს. მისი ფლოტი ზღვაზე იბრძვის. ბალაშთან ჯარის გადასხმა გრძელდება, რომელიც ფრანგებს უნდა მიეშველოს.

ავსტრო-ჰუნგრეთის მხრით ანტივორთან და ბელგრადთან ბრძოლა გრძელდება. ამ ფრონტებზე იბრძვიან ერთის მხრით ჩერნოგორლენი და სერბიელნი, ხოლო მეორეს მხრით ავსტრო-უნგრეთელნი ზოგიერთ ცნობათა მიხედვით ჩერნოგორიელებმა ავსტრიის რამდენიმე ქალაქი აიღეს და სერბიელები ბოსანია-ჰერცოგოვინაში შევიდნენ.

რუმინიაში დიდი მზადებაა ნეიტრალიტეტის დარღვევის ნიშნები ემჩნევა.

ბულგარეთის მთავრობა მობილიზაციას ახდენს.

ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა ხალხი საომრად მომზადებულიყო.

შვეიცარიასა და ჰოლანდიაშიც საომრად ემზადებიან.

შვეიცაშიაც დაიწყო საომარი სამზადისი.

ამერიკა სავაჭრო ინტერესების დასაცავად გემს ჰგზავნის ჩინეთის ზღვაში.

იაპონიაში დღე-დღეზე ელიან გერმანელებთან შეტაკებას.

ფოსტა

ძ. ჩერდინი. ანტუანეტას. გამოგვიგზავნეთ.

ქუთაისი. ვ-ძეს. პირად კინკლაობაზე არ ღირს პასუხის გაცემა და ამიტომ ვერც ვბეჭდავთ თქვენს წერილს.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

(წ.—21)

ექ. ვახტანგ ღამბაშიძის

სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ᲫᲐᲚ-ᲕᲐᲣᲗᲐᲗᲕᲘᲡ 8—5 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ღამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡᲐ

ᲰᲝᲜᲝᲠᲔᲘᲐ (ᲡᲣᲡᲣᲜᲐᲢᲘ)

4 წ. გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი **„რაპიდი“** გასასყიდად გამოვიდა სამკურნალო, საბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს, ამისთანა შემთხვევა არ არის;** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა, ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენად, **და „რაპიდ“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (ᲒᲝᲜᲝᲠᲔᲘᲐ) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამლასაც,—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, იმის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **»რაპიდ-«ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი., რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დავუბრუნებ.

ᲜᲘᲛᲣᲨᲘ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐ:

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „რაპიდ“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმ.ეგ, თავდები ვარ, რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერა.)

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ. თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

წერილი 11. მ. ხ. ბ-ნო დელამაურე! დიდათ გმადლობთ თქვენი სასწაულ მომქმედ „რაპიდისთვის“. განვიკურნე. ᲒᲝᲠᲩᲘᲗ ჩემს ნაცნობებს მოგმართონ თქვენ. პატივისცემით ვ. მ. გ. ქ. როვნო.

წერილი 12. მ. ხ. ბ. დელამაურე! მთელი ათი წელიწადი ვიტანჯებოდი ამ საშინელ სენით. თქვენმა უებარმა საშუალებამ განმკურნა 26 დღეში. ამდენი ხნის ტანჯვის შემდეგ მე არ მწამდა თუ იქნებოდა ისეთი საშუალება, რომელიც შესძლებდა ჩემს განკურნვას. მაგრამ მოვტყუვდი, ყოფილა—ეს არის თქვენი რაპიდი. გიძღვნი გულწრფელ სალამს და დღეგრძელობას ტანჯული ხალხის საკეთილდღეოთ. პ. ლ. ტროიცი. 16 მარ. 1912 წ.

ფასდადებით და გაგზავნით 9 მ. ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3. მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

თბილისში ჩემს წარმომადგენელს კ. აკოპიანს, ლორის-მელიქოვის ქ ,№16, 13, სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე ისყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში, ნეკრასოვისა და რაზიეზდის ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით **მ. დელამაურე.**

მოსკოვი. ნეგლინის მისახ. № 14—2 სას. 2.

ახალი კლუბი

სახაფხ. შენობა ტელეფ. - 7-95

დღეს — კვირას 3 აგვისტოს	**საბავშვო საღამო** და **სინემატოგრაფი** დასაწყისი ნაშუადღევის 5 ს. დასაწყისი საღ. 9 ს.
ორშაბათს 4 აგვისტოს	**კონცერტი** სიმფონიურ ორკესტრისა **ი. ს. პრესმანის** ხელმძღვანელობით.
სამშაბათს 5 აგვისტოს	**ს. კოლოსოვის ლექცია-კონცერტი**
ოთხშაბათს 6 აგვისტო	**ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით სიმფონიური კრება
ხუთშაბათს 7 აგვისტოს	**ქართული წარმ[illegible]ნა.**
პარასკევს 8 აგვისტოს	**სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკისა.**
შაბათს 9 აგვისტოს	**კონცერტი** სიმფონიური ორკესტრისა **ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით.
კვირას 10 აგვისტოს	**საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი.**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ »აპოლოს« გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11 — 79

დღეს, კვირას 3 აგვისტოს	**სინემატოგრაფი, მუსიკა, ცეკვა.**
ორშაბათს 4 აგვისტოს	**სინემატოგრაფი.**
სამშაბათს 5 აგვისტოს	**სინემატოგრაფი, მუსიკა.**
ოთხშაბათს 6 აგვისტოს	**საზანდარი.**
ხუთშაბათს 7 აგვისტოს	**საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა.**
პარასკევს 8 აგვისტოს	**საზანდარი; ცეკვა.**
შაბათს 9 აგვისტოს	**სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.**
კვირას 10 აგვისტოს	**სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.**

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები — 25 კ., ქალები — 10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ორცელი და ყოველ მხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

სტამბა „**სორაპანი**“ Типографія „**Сорапань**“